



პროგრამის სახელწოდება

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(07) სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - (07) PhD in Social Sciences

მათ შორის:

- (0705) საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი - (0705) PhD in International Relations
- (0701) ეკონომიკის დოქტორი - (0701) PhD in Economics
- (0706) სოციოლოგიის დოქტორი - (0706) PhD in Sociology
- (0707) ფსიქოლოგიის დოქტორი - (0707) PhD in Psychology

(10) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი - (10) PhD in Humanities

მათ შორის:

- (1006) ფილოსოფიის დოქტორი - (1006) PhD in Philosophy
- (1005) ფილოლოგიის დოქტორი - (1005) PhD in Philology
- (1004) ისტორიის დოქტორი - (1004) PhD in History

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის კონცეფცია

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა სწავლების მესამე საფეხურია, რომელიც უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებთან/სკოლებთან თანამშრომლობით ხორციელდება. სადოქტორო სკოლის ძირითადი ფუნქციაა პროგრამის სამეცნიერო კვლევების თანამედროვე რესურსებით უზრუნველყოფა, დოქტორანტების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინირება და მათი თანამედროვე, გლობალურ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირება.

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი უზრუნველყოფს დოქტორანტს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სათანადო მეთოდოლოგიური მომზადებითა და დარგობრივი ინსტრუმენტებით. პროგრამის კონცეფცია გულისხმობს დოქტორანტისადმი ინდივიდუალიზებულ მიდგომას და უზრუნველყოფს კონკრეტული დარგის ან ქვედარგის ფარგლებში ღირებული სამეცნიერო ინოვაციებისა და შემოქმედებითობის ხელშეწყობას.

პროგრამის კონცეფცია ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში არსებულ მზარდ ტენდენციას, რომ ხელი შეუწყოს დისციპლინებს შორის საზღვრების რღვევასა და პრობლემაზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელებას.

ამ მხრივ, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი პროცესი დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს, თეზისის დამუშავების პროცესში (პროსპექტუსზე, მეთოდოლოგიურ და ბიბლიოგრაფიულ ნაშრომზე მუშაობისას) გამოიყენოს სხვადასხვა დარგისა და ქვედარგის მეთოდოლოგიური მიდგომები, თეორიული ჩარჩოები და/ან კონცეპტუალური აპარატები. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი პროცესი უზრუნველყოფს კვლევისადმი პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომას. შესაბამისად, სადოქტორო თემიდან და დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე, სადისერტაციო საბჭო ადგენს კვლევის ინტერდისციპლინურ ბუნებას. ამ მიდგომიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პროცესში შესაძლებელია მიმართულებების კომისიის შემადგენლობის ცვლილების განხორციელება და სადოქტორო თემისა და დოქტორანტის კვლევითი მიზნებისთვის უკეთ მორგებული კომისიის შემადგენლობის შერჩევა.

სადოქტორო კვლევის ინტერდისციპლინურობის განსაზღვრა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება შემდეგი წესით: სასწავლო პროგრამის პირველ სემესტრში სადისერტაციო საბჭო ადგენს სამეცნიერო მიმართულების კომისიას, დოქტორანტის მიერ „პირველი პრეზენტაციის“ (იხილეთ კვლევითი კომპონენტის სემესტრული გეგმა) ფარგლებში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე. სამეცნიერო მიმართულების კომისიის შეამდგენლობაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით და დოქტორანტის მიერ წარმოებული კვლევის საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სადისერტაციო ნაშრომის დასრულებისა და სადისერტაციო საბჭოსთვის მისი წარდგენის შემდეგ. სადისერტაციო ნაშრომის საფუძველზე სადისერტაციო საბჭო იკრიბება და განიხილავს საკვლევი თემის სპეციფიკას. კერძოდ, საბჭო განსაზღვრავს თეორიული პრობლემის, კონცეპტუალური აპარატისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს დარგობრივ მიკუთვნებულობას. გადაწყვეტილება ინტერდისციპლინურობის შესახებ მიიღება, თუ სადოქტორო ნაშრომი ეყრდნობა სოციალური ან ჰუმანიტარული მეცნიერებების რამდენიმე დარგის გადაკვეთაზე არსებულ თეორიულ ჩარჩოებს, იყენებს ერთზე მეტ დარგში არსებულ კვლევით მეთოდს/ინსტრუმენტს, კვლევით პრობლემატიკას განსაზღვრავს ერთზე მეტ დარგში არსებული სამეცნიერო დისკურსთან მიმართებაში და ერთზე მეტი დარგისთვის მნიშვნელოვანი დებატის გადაკვეთაზე ახდენს საკუთარი კვლევითი მიზნების პოზიციონირებას. ყოველივე ამის შედეგად, საბჭო განსაზღვრავს მისანიჭებელ ხარისხს და ირჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 45 ECTS-ს. კურიკულუმით გათვალისწინებულ საგნებს ასწავლის მაღალკვალიფიციური პერსონალი. პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციით გათვალისწინებული სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას ხელმძღვანელისა და სამეცნიერო კომისიის ხელმძღვანელობით. პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლევა, კვლევითი საქმიანობის გარდა, ასევე, ჩაერთოს უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესში.

პროგრამის მიზანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამის მიზანია:

- სოციალურ მეცნიერებებში (მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია) და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (მათ შორის, ფილოსოფია, ისტორია, ფილოლოგია) სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფა;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ინტერდისციპლინური კვლევების უზრუნველყოფა;
- მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება;
- სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და კვლევის ხარისხის ამაღლება;
- ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობა;
- სადისერტაციო ნაშრომისათვის სამეცნიერო კვლევის, სასწავლო პროცესის და სამეცნიერო ხელმძღვანელის მხრიდან აკადემიური ზედამხედველობის და საჯარო დაცვის უზრუნველყოფა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

დასახული მიზნების მისაღწევად სადოქტორო სკოლა:

- დოქტორანტს ეხმარება ხელმძღვანელის შერჩევასა და კვლევის ორგანიზებაში;
- უზრუნველყოფს სამეცნიერო მიმართულების კომისიის ჩართულობას სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში, რეგულარული შეხვედრების, პრეზენტაციებისა და განხილვების ორგანიზებით. ეს პროცესი, მათ შორის უზრუნველყოფს ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერას, შესაბამისი კვალიფიკაციის ხალხით;
- სთავაზობს დოქტორანტს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ და თეორიულ ცოდნას;
- უქმნის სათანადო გარემოს სამუშაოს ეფექტიანი შესრულებისათვის (სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, გლობალურ ქსელთან წვდომა, საერთაშორისო კავშირები, რეგულარული სემინარები).

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებს შორის იმ აუცილებელი, ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ისეთი აკადემიური გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ინოვაციური კვლევების წარმოებისა და ახალი საერთაშორისო სამეცნიერო ღირებულების მქონე ცოდნის შექმნისათვის; მეორე

მხრივ, პროგრამა იმგვარად არის სტრუქტურირებული და ითვალისწინებს ისეთი ტიპის სასწავლო პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობას.

ეს ორივე მიმართულება აისახება პროგრამის ინდივიდუალიზებულ მიდგომაში, რაც მკაფიოდ არის გამოხატული კურიკულუმის სტრუქტურასა და შინაარსში ისევე, როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის პრინციპებში.

კურიკულუმში ძირითადი აქცენტი გადატანილია არა ტრადიციულ სასწავლო კურსებზე, არამედ კვლევით კომპონენტზე. სასწავლო კურსები მიმართულია, ერთი მხრივ, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მაღალი აკადემიური ღირებულების მქონე კვლევის წარმოებისათვის აუცილებელ ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მეორე მხრივ, სასწავლო კომპონენტის ნაწილი (სადოქტორო სემინარები) ეთმობა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში იმ სამეცნიერო დისკურსების, პრობლემატიკისა და კონცეფციების გააზრებას, რომლებიც აუცილებელია ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებისათვის. პროგრამის ეს ასპექტი საშუალებას აძლევს დოქტორანტს, სასწავლო და კვლევითი პროცესი დაგეგმოს მისი ინტერესიდან და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, თითოეული დოქტორანტი მუშაობას ახორციელებს არა მხოლოდ ხელმძღვანელის, არამედ (კვლევის სპეციფიკიდან და კვლევით პრობლემიდან გამომდინარე) შესაბამისი მიმართულების კომისიის დახმარებით. დოქტორანტი, სემესტრში რამდენჯერმე კომისიის წინაშე წარადგენს ანგარიშს ჩატარებული სამუშაოს შესახებ. შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც ხდება სემესტრული პრეზენტაციების და ანგარიშების წარდგენა, ორგანიზებას უწევს სადოქტორო პროგრამა. ანგარიშების წარდგენას ესწრება სხვადასხვა დარგის მეცნიერებისაგან შემდგარი კომისია და დოქტორანტი ინტენსიურ უკუკავშირს იღებს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისგან. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ინტერდისციპლინური კვლევების ეფექტურად განხორციელებას და, ამას გარდა, ხელს უწყობს დოქტორანტს, რომ მისი კვლევა ინფორმირებული იყოს, როგორც მის, ასევე მომიჯნავე დარგებში არსებული პრობლემატიკით. ამასთანავე, ამ ინტენსიური უკუკავშირის საფუძველზე დოქტორანტის კვლევა განიცდის მუდმივ პროგრესს და პოზიტიური გავლენა აქვს ხელმძღვანელის და დოქტორანტის ნაყოფიერ კოლაბორაციაზე.

კვლევისადმი პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, კვლევა განახორციელოს რამდენიმე დისციპლინის მიჯნაზე არსებული კონცეპტუალური ჩარჩოს და/ან მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით და შესაბამისად აწარმოოს ინტერდისციპლინური ბუნების კვლევა. ინტერდისციპლინური კვლევა გულისხმობს კვლევის ისეთ მეთოდს, რომელშიც ხდება ორი ან მეტი დისციპლინის მონაცემების, ტექნიკების, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების, კონცეპტების და/ან თეორიების ინტეგრირება. შესაბამისად, პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს ამ სპეციფიკას და დოქტორანტებს აძლევს შესაძლებლობას: ა) სადოქტორო სემინარების ფარგლებში სიღრმისეულად გაიაზრონ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების გადაკვეთისთვის რელევანტური დებატები და დისკურსები; ბ) მიმართულების კომისიის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა დარგის სპეციალისტის დახმარებით, შეიმუშაონ საკვლევი კითხვა, მეთოდოლოგიური მიდგომა და/ან კონცეპტუალური აპარატი, რომელიც შესაძლებელს გახდის პრობლემის ინტერდისციპლინურ ჭრილში გააზრებასა და გადაჭრას.

დასაქმების სფეროები

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება, იმუშაოს:

- მეცნიერად ან მკვლევარად კერძო და სახელმწიფო პროექტებში;
- აკადემიურ პერსონალად უნივერსიტეტში;
- კონსულტანტად როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დებულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების (კვლევის პროექტის განაცხადი და ზეპირი გასაუბრება) წარმატებით ჩაბარება საკვლევი თემის მიხედვით შერჩეული სამეცნიერო კომისიის წინაშე.

პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

1. წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae)
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ელექტრონული ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ
4. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი და დანართი
5. ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის და/ან მუშაობის გამოცდილება. (სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, კანდიდატმა აუნდა გაიაროს სადოქტორო პროგრამის მიერ ორგანიზებული ტესტირება ინგლისურ ენაში)
6. სამოტივაციო წერილი (500 სიტყვა)
7. კვლევის პროექტის აღწერა (1000 სიტყვა)

2. გაიაროს გასაუბრება შესაბამისი მიმართულების კომისიასთან. კომისია განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და „კვლევის პროექტის აღწერის“ და ამ განაცხადზე დაფუძნებული გასაუბრების საფუძველზე საფუძველზე განსაზღვრავს:

- ა) კანდიდატის კვალიფიციურობას, მომზადებასა და ცოდნას, რომელიც აუცილებელია წარდგენილი კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის;
- ბ) კანდიდატის შესაძლებლობას, მომზადებას და უნარ-ჩვევებს, შეივსოს ცოდნა და გაიფართოვოს ინტელექტუალური ჰორიზონტი, სადოქტორო თემისათვის რელევანტურ სფეროში/სფეროებში;
- გ) წარდგენილი კვლევითი პროექტის სამეცნიერო ღირებულებას, მნიშვნელობასა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობას /შესაძლებლობას, საერთაშორისო აკადემიური სტანდარტებისა და სამეცნიერო მოთხოვნების გათვალისწინებით.

მიღების შესახებ დეტალური ინფორმაცია თავსდება თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.freeuni.edu.ge.

პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

სწავლის შედეგები

სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხი (PhD in Social Sciences) კანდიდატს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მის დისერტაციაში გამოყენებულია სოციალური მეცნიერებების რამდენიმე (ერთზე მეტი) დარგისა ან ქვედარგის მეთოდოლოგიური მიდგომა, კონცეპტუალური აპარატი ან თეორიული ჩარჩო. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებას, ხელმძღვანელის და/ან მიმართულების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს სადისერტაციო საბჭო.

საერთაშორისო ურთიერთობები:

- კურსდამთავრებულს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის და თანამედროვე თეორიული დებატების ახალი სიღრმისეული ცოდნა, განსაკუთრებით რომელიმე ქვედარგში;
- კურსდამთავრებული იცნობს საერთაშორისო ურთიერთობებში კვლევის თანამედროვე მეთოდებს;
- კურსდამთავრებული იყენებს საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემის ანალიზისათვის საჭირო მეთოდებს;
- კურსდამთავრებული კრიტიკულად აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებში დაგროვილ სამეცნიერო გამოცდილებას;
- კურსდამთავრებული იცნობს და იყენებს საერთაშორისო ურთიერთობებში თანამედროვე პროცესების კვლევის მეთოდებს;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიულ/თვისებრივ კვლევას;
- კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების ცოდნა აქვს და მათი დემონსტრირება შეუძლია;
- კურსდამთავრებულს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;
- კურსდამთავრებული აანალიზებს და იკვლევს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან, შეუძლია კონსულტირების გაწევა;

- კურსდამთავრებული საერთაშორისო ურთიერთობებში ქმნის ახალ ცოდნას და ინტერპრეტირებას ახდენს ორიგინალური ინოვაციური კვლევების საშუალებით.

ეკონომიკა:

- კურსდამთავრებულმა იცის ალტერნატიული ეკონომიკური კონცეფციების ძირითადი დამახასიათებლები;
- კურსდამთავრებულმა იცის ეკონომიკური თეორიის ძირითადი თეორიული დებატების ისტორია;
- კურსდამთავრებულმა იცის ეკონომიკურ თეორიაში არსებული პრობლემატიკა, განსაკუთრებით სადისერტაციო თემის და/ან კონკრეტული ქვედარგის ფარგლებში;
- კურსდამთავრებული ანალიზებს ეკონომიკურ პრობლემებს და იცის ანალიზისათვის საჭირო მეთოდები/მოდელები;
- კურსდამთავრებული ატარებს ეკონომიკაში თეორიული/თვისებრივი კვლევას;
- კურსდამთავრებული ახდენს ეკონომიკური პრობლემის, კვლევითი საკითხის და მეთოდოლოგიური მიდგომის იდენტიფიცირებას;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ეკონომიკური მიმართულებით ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;
- კურსდამთავრებული ანალიზებს და იკვლევს ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან, შეუძლია კონსულტირების გაწევა;
- კურსდამთავრებული ეკონომიკაში ქმნის ახალ ცოდნას და ინტერპრეტირებას ახდენს ორიგინალური ინოვაციური კვლევების საშუალებით;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კვლევას ეკონომიკაში.

ფსიქოლოგია:

- კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიაში თეორიის ისტორიის ცოდნა, განსაკუთრებით რომელიმე ქვედარგის ფარგლებში;
- კურსდამთავრებული იცნობს ფსიქოლოგიაში თანამედროვე პრობლემატიკას, განსაკუთრებით რომელიმე ქვედარგის ფარგლებში;
- კურსდამთავრებული იყენებს ფსიქოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდებს;

- კურსდამთავრებულს ფსიქოლოგიასა და მის მომიჯნავე მეცნიერებათა დარგებში აქვს ახალი მიღწევების ცოდნა, განსაკუთრებით დისერტაციით გათვალისწინებული თემის ფარგლებში;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქოლოგიაში ორიგინალური ნაშრომის შექმნა და საბოლოო ჯამში გამოქვეყნებული კვლევის განხორციელება;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ირჩევს ფსიქოლოგიაში საკვლევი საკითხს;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად არჩევს საკვლევ მეთოდოლოგიასა და მიდგომას;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კვლევას ფსიქოლოგიაში;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქოლოგიის მიმართულებით ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;
- კურსდამთავრებული ფსიქოლოგიაში ქმნის ახალ ცოდნას და ინტერპრეტირებს ახდენს ორიგინალური ინოვაციური კვლევების საშუალებით.

სოციოლოგია:

- კურსდამთავრებულს აქვს სოციოლოგიაში საკვანძო თეორიების და თეორიული დებატების ისტორიისა და განვითარების ცოდნა;
- კურსდამთავრებულს აქვს სოციოლოგიური და სოციალური თეორიისა და თანამედროვე დისკურსების ზედმიწევნით ცოდნა, განსაკუთრებით დისერტაციის თემით გათვალისწინებული ქვედარგის ფარგლებში;
- კურსდამთავრებული იყენებს სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს;
- კურსდამთავრებული იყენებს სოციოლოგიური პრობლემების ანალიზისათვის საჭირო მეთოდებს;
- კურსდამთავრებულს აქვს სოციოლოგიის მიმართულებით უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების ცოდნა და შეუძლია მათი დემონსტრირება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;
- კურსდამთავრებული აანალიზებს და იკვლევს სოციოლოგიურ თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან, შეუძლია კონსულტირების გაწევა;

- კურსდამთავრებული სოციოლოგიაში ქმნის ახალ ცოდნას და ინტერპრეტირებს ახდენს ორიგინალური ინოვაციური კვლევების საშუალებით;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს რაოდენობრივ ან თვისებრივ კვლევას სოციოლოგიაში.

ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორის ხარისხი (PhD in Humanities) კანდიდატს ენიჭება იმ შემთხვევაში თუ მის დისერტაციაში გამოყენებულია ჰუმანიტარული რამდენიმე (ერთზე მეტი) დარგისა ან ქვედარგის მეთოდოლოგიური მიდგომა, კონცეპტუალური აპარატი ან თეორიული ჩარჩო. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებას, ხელმძღვანელის და/ან მიმართულების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს სადისერტაციო საბჭო.

ფილოსოფია:

- კურსდამთავრებულს აქვს კვლევისათვის რელევანტური თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემებისა და ისტორიის ცოდნა;
- კურსდამთავრებული ანალიზებს ფილოსოფიურ პრობლემებს და იყენებს ანალიზისათვის საჭირო თანამედროვე მეთოდებს;
- კურსდამთავრებულს აქვს საკვლევო პრობლემის გარშემო უახლესი ლიტერატურისა და ამავე დროს საკითხის კვლევის ისტორიის ცოდნა;
- საჭიროებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს ზედმიწევნით აქვს გააზრებული ფილოსოფიაში დამკვიდრებული მიდგომები (ანალიზური, კონტინენტური და სხვა) და იყენებს მათ კვლევაში;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფილოსოფიასა და მის მომიჯნავე დისციპლინათა შორის კავშირების გავლება და ამ კავშირების კვლევაში გამოყენება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია აკადემიური წერის სტანდარტებისა და ფილოსოფიისთვის შესაბამისი აკადემიური ენით და სამეცნიერო აპარატით დამოუკიდებელი და ორიგინალური ნაშრომის შექმნა, რომელიც მზად იქნება გამოსაქვეყნებლად;
- კურსდამთავრებულს აქვს ფილოსოფიაში უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების ცოდნა და შეუძლია მათი დემონსტრირება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფილოსოფიაში დაგროვილი ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;

- კურსდამთავრებული ანალიზებს და იკვლევს ფილოსოფიურ თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან, შეუძლია კონსულტირების გაწევა;
- კურსდამთავრებული ფილოსოფიაში ქმნის ახალ ცოდნას და ინტერპრეტირებას ახდენს ორიგინალური ინოვაციური კვლევების საშუალებით;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კვლევას ფილოსოფიაში.

ფილოლოგია:

- კურსდამთავრებულს აქვს ფილოლოგიის თანამედროვე ქვედარგების ზედმიწევნით ცოდნა;
- კურსდამთავრებული ფილოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებას ახდენს და ანალიზებს. ამასთან, ანალიზისათვის საჭირო მეთოდებს იყენებს;
- კურსდამთავრებულს აქვს საკვლევი ენის და, საკვლევი თემიდან გამომდინარე, ამ ენაზე დაწერილი ლიტერატურის ზედმიწევნით ცოდნა;
- კურსდამთავრებულს აქვს საკვლევი პრობლემის გარშემო უახლესი ლიტერატურისა და ამავე დროს საკითხის კვლევის ისტორიის ცოდნა;
- კურსდამთავრებულმა იცის ტექსტის ანალიზის თანამედროვე მეთოდები და დისკურსები;
- საჭიროებისდა მიხედვით, ფილოლოგიაში, ლიტერატურისმცოდნეობაში, ლინგვისტიკასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებში კურსდამთავრებულს აქვს გააზრებული აქვს თანამედროვე დისკურსები და შეუძლია მათი კვლევაში გამოყენება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია აკადემიური წერის სტანდარტების დაცვითა და ფილოლოგიური ნაშრომისთვის შესაბამისი აპარატით გამართული სადისერტაციო ნაშრომის შექმნა და გამოსაქვეყნებლად მომზადება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფილოლოგიური ანალიზი;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფილოლოგიაში კვლევის მეთოდოლოგიის გენერირება და გაძღოლა;
- კურსდამთავრებულს აქვს ფილოლოგიის მიმართულებით უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების ცოდნა და შეუძლია მათი დემონსტრირება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფილოლოგიაში დაგროვილი ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;

- კურსდამთავრებული ანალიზებს და იკვლევს ფილოლოგიაში თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან, შეუძლია კონსულტირების გაწევა;
- კურსდამთავრებული ფილოსოფიაში ქმნის ახალ ცოდნას და ინტერპრეტირებას ახდენს ორიგინალური და ინოვაციური კვლევების საშუალებით;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კვლევას ფილოლოგიაში.

ისტორია:

- კურსდამთავრებულს აქვს ისტორიაში თეორიის და უახლესი მიღწევების ღრმა და სისტემური ცოდნა განსაკუთრებით რომელიმე პერიოდის ან/და არჩეული გეოგრაფიული სივრცის ისტორიაში;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ისტორიაში პრობლემების ანალიზი და აქვს ანალიზისათვის საჭირო მეთოდების ცოდნა;
- კურსდამთავრებულს აქვს ისტორიაში კვლევის თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- კურსდამთავრებულს აქვს ისტორიის და მისი მომიჯნავე მეცნიერებათა მიღწევების ცოდნა;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ისტორიაში ორიგინალური ნაშრომის შექმნა და საბოლოო ჯამში გამოქვეყნებული კვლევის განხორციელება.
- კურსდამთავრებული ისტორიაში ატარებს თეორიულ/თვისებრივ და პრაქტიკულ/საველე კვლევებს;
- კურსდამთავრებულს აქვს ისტორიის მიმართულებით უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების მეთოდების ცოდნა და შეუძლია მათი დემონსტრირება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ისტორიაში დაგროვილი ცოდნის, მოსაზრებების და მიგნებების გაზიარება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ისტორიაში კვლევის მეთოდოლოგიის გენერირება და გაძლიერება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ისტორიაში ახალი ცოდნის შექმნა და ინტერპრეტირება ორიგინალური ინოვაციური კვლევების საშუალებით;
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს კვლევას ისტორიაში.

სწავლისა და სწავლების მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს გამოიყენება სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი; დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; საველე სამუშაო; პრეზენტაცია; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; წერითი მუშაობის მეთოდი.

სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, უფლებამოსილია იყენებდეს ერთ, რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი მიზნების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევით კომპონენტისგან.

სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ეუფლება იმ ფუნდამენტურ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია მაღალკვალიფიციური კვლევის წარმოებისათვის (მათ შორის კვლევის მეთოდები, სადისერტაციო კვლევის მომზადება). ამას გარდა, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის კრიტიკულ დისკურსებსა და პრობლემატიკაში (სადოქტორო სემინარები). ინდივიდუალური სადოქტორო სემინარები დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას გაიფართოოს ან გაიღრმავოს ცოდნა უშუალოდ მისი სადოქტორო თემისათვის რელევანტურ ქვედარგსა და სფეროებში, მის მიერ შერჩეული პროფესორის დახმარებით.

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, დოქტორანტის მუშაობაში ჩართულია როგორც ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი კომისია. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სადოქტორო თემიდან გამომდინარე. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს შემდეგს: რეგულარულ რეჟიმში დოქტორანტსა და დოქტორანტის ხელმძღვანელსა შორის შეხვედრებს, ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის სხვადასხვა ნაწილების/ეტაპების მომზადების პროცესში ჩართულობას (მაგ; პროსპექტუსი, მეთოდოლოგიური ნაშრომი, ანგარიშები); რეგულარულ (მინიმუმ სემესტრში ორჯერ) ნაშრომის სხვადასხვა ნაწილების საჯარო წარდგენასა და დაცვას მიმართულების კომისიის თანდასწრებით. მიმართულების კომისია და ხელმძღვანელი აფასებს დოქტორანტის მუშაობას და განსაზღვრავს კვლევის ჰიპოთეზის/საკვლევის კითხვის, მეთოდოლოგიური მიდგომის, ა.შ. მიზანშეწონილობას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (*cum laude*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (*bene*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება პროგრამით გათალისწინებული დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სასწავლო გეგმა

პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ორ კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ სფეროში დახელოვნებას. სასწავლო კომპონენტი, ერთი მხრივ, მოიცავს კურსებს, რომლებიც მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებით აღჭურვას და სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით სადისერტაციო კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. ეს კურსები მორგებულია სადოქტორო პროგრამის სპეციფიკას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი მხრივ ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ინტერდისციპლინური კვლევისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამოყენებას სადოქტორო თემაზე მუშაობის პროცესში. მათ შორის ისეთი კურსები, როგორცაა **სადისერტაციო კვლევის მომზადება, სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, და კვლევის მეთოდების** ორივე კურსი ორიენტირებულია პროგრამის ინტერდისციპლინური მიზნების განხორციელებაზე ისე, რომ დოქტორანტებს ამ კურსების ფარგლებში ეძლევათ საშუალება, სადისერტაციო კვლევისთვის აუცილებელი ეტაპები განახორციელონ ინტერდისციპლინური კვლევის პრინციპების გათვალისწინებით. ამ მიზნით, სასწავლო კომპონენტის ეს ნაწილი ემსახურება სადისერტაციო ნაშრომის ისეთი ასპექტების განვითარებას, როგორცაა კვლევის პრობლემის ფორმულირება, კვლევითი კითხვის განსაზღვრა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, მეთოდოლოგიური მიდგომისა და კვლევითი მეთოდის ინსტრუმენტების შერჩევა, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე კვლევის რელევანტურობის განსაზღვრა.

მეორე მხრივ, სასწავლო კომპონენტი მოიცავს კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემის შესაბამის დარგებსა და ქვედარგებში ცოდნის გაღრმავებას და შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ დამუშავებას. ამ მხრივ, დოქტორანტების ინტერესებზე ინდივიდუალურად მორგებული კომპონენტებია დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი (სავალდებულო და არჩევითი), რომელიც ხელმძღვანელთან მუშაობისა და ინდივიდუალური კვლევის პარალელურად შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტს, კონკრეტული დარგის, ქვედარგის ან ინტერდისციპლინური პრობლემატიკის მიმართულებით (თემის სპეციფიკიდან გამომდინარე) დაამუშაოს ლიტერატურა, გაიღრმავოს ცოდნა და ამ ლიტერატურის და თეორიების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს კონკრეტულად მისი თემისთვის რელევანტური კონცეპტუალური აპარატი და მეთოდოლოგიური ჩარჩო. ინდივიდუალური სემინარის ეფექტურობა დიდწილად იმითაც არის განპირობებული, რომ გარდა მოქნილი სასწავლო

პროგრამისა, დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს, რომ ხელმძღვანელის გარდა სხვა პროფესორებთანაც იმუშაონ სადისერტაციო თემაზე. ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო აღრმავებს პროგრამის ინტერდისციპლინურობას და დარგთაშორის კოლაბორაციისათვის ხელსაყრელ პირობას ქმნის.

პროგრამის ინტერდისციპლინური მიზნების თვალსაზრისით მის საკვანძო სასწავლო კომპონენტს წარმოადგენს სადოქტორო სემინარების სამი კურსი. სამივე კურსის მიზანი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში საკვანძო პრობლემატიკის და თეორიული მიდგომების ანალიზია. ამ კურსების ფარგლებში ყველაზე მკაფიოდ იკვეთება ის საზიარო ველი, რომელიც სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს საერთო კვლევით მიზნებსა და პრობლემატიკას უსახავს. ამ სამი კურსის ფარგლებში დოქტორანტები იღებენ ცოდნას იმ თეორიული ჩარჩოების, მეთოდოლოგიური მიდგომების, კონცეპტუალური აპარატებისა და კვლევითი პრობლემატიკის შესახებ, რომლებიც გულისხმობს სოციალური თეორიის, კულტურული კვლევების, ისტორიოგრაფიის, პოლიტიკური თეორიის და სხვ., თანაკვეთას. ამ კურსების ფარგლებში დოქტორანტების ინტეგრირება ხდება ისეთ სამეცნიერო დისკურსებში, რომლის საფუძველზეც ისინი შეძლებენ საკუთარი კვლევითი მიზნების პოზიციონირებას სხვადასხვა დარგის/ქვედარგის სამეცნიერო დებატებთან მიმართებაში. ამასთან, სასწავლო კომპონენტის ამ ნაწილში ხორციელდება პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომ თავისუფალ უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა, მიუხედავად დარგის თუ ქვედარგის სპეციფიკისა, ინფორმირებული იყოს იმ სოციოკულტურული და პოლიტიკური კონტექსტებით, რომლის წიაღშიც იქმნება მეცნიერული ცოდნა და დისკურსი.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის მიერ დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო მასალის მოძიებას და გაცნობას, არსებული ცოდნის მიმოხილვას, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასა და ტესტირებას, მონაცემების შეგროვებას, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზს, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, პრეზენტაციას და დაცვას (სამეცნიერო შეკითხვები, კამათი). კვლევითი კომპონენტი ასევე მოიცავს სავალდებულო გამოქვეყნებას, რომელიც განისაზღვრება უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

პროგრამის ინტერდისციპლინური და ინდივიდუალურ ინტერესებზე მორგებული ბუნება ყველაზე მკაფიოდ მჟღავნდება კვლევითი კომპონენტის ფარგლებში.

ინტერდისციპლინურობის თვალსაზრისით პროგრამა, კვლევითი კომპონენტის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ დოქტორანტებს ჰქონდეთ სხვადასხვა დარგის და ქვედარგის სპეციალისტებთან მუდმივი ინტერაქციისა შესაძლებლობა და სადოქტორო კვლევაზე მუშაობის პროცესში, მუდმივად შეეძლოთ უკუკავშირის მიღება მათი და/ან მომიჯნავე დარგის პროფესორებისგან. ეს სულ მცირე ორი ინსტიტუციონალიზებული ფორმატის საშუალებით მიიღწევა. ერთი მხრივ, დოქტორანტები სადისერტაციო ხელმძღვანელის გარდა მუშაობენ სამეცნიერო მიმართულების კომისიის წევრებთან. სამეცნიერო მიმართულების კომისია შეიძლება შედგებოდეს კონკრეტული დარგების მიხედვით წინასწარ განსაზღვრული წევრებისგან ან კონკრეტული დოქტორანტისთვის შეიძლება შედგეს ახალი შემადგენლობის კომისია, მისი კვლევითი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. ინტერდისციპლინური კვლევის შემთხვევაში სამეცნიერო მიმართულების კომისია შეიძლება შედგებოდეს მომიჯნავე დარგების ან ქვედარგების სპეციალისტებისგან. ასეთ შემთხვევაში კომისია დგება სასწავლო პროგრამის პირველ სემესტრში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც ეფუძნება დოქტორანტის მიერ სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარდგენილ საკვლევ თემას. ასევე შესაძლებელია, რომ მუშაობის პროცესში, ასევე სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიცვალოს სამეცნიერო მიმართულების კომისიის შემადგენლობა. სამეცნიერო მიმართულების კომისია მუდმივად ჩართულია დოქტორანტის საქმიანობაში. გარდა ინდივიდუალური უკუკავშირისა, ესწრება სემესტრული ანგარიშების საჯარო წარდგენას და ინტენსიურად მეთვალყურეობს სადისერტაციო კვლევის მიმდინარეობასა და პროგრესს.

მეორე ინსტიტუციონალიზებული ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ხდება ინტერდისციპლინური მიზნების განხორციელება, გულისხმობს სემესტრული ანგარიშების ფარგლებში სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და აკადემიური პერსონალის ინტენსიურ ჩართულობას. კერძოდ, თითოეული დოქტორანტი სემესტრულ ანგარიშს წარადგენს გაფართოებული კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში უშუალოდ მისი სამეცნიერო კომისიის გარდა სადისერტაციო საბჭოს და აკადემიური პერსონალის სხვა წევრებიც შედიან. შესაბამისად, თითოეული ანგარიშის წარდგენისას დოქტორანტი იღებს ინტენსიურ უკუკავშირისა და კომენტარებს სხვადასხვა დარგისა და ქვედარგის სპეციალისტებისგან. ანგარიშების წარდგენისას გამართული სამეცნიერო დისკუსია არამხოლოდ ინტერდისციპლინურობას უწყობს ხელს, არამედ ნაყოფიერ გარემოს ქმნის ზოგადად სამეცნიერო დისკუსიის და დებატის განვითარებისათვის. ამას გარდა, ეს

პროცესი ხელს უწყობს თავისუფალი უნივერსიტეტის კიდევ ერთ ზოგად მიზანს, რომ მხარი დაუჭიროს სხვადასხვა დარგის აკადემიური (და არა მხოლოდ) პუბლიკისთვის რელევანტური სამეცნიერო და გამოყენებითი ცოდნის შექმნას.

სასწავლო გეგმა

სავალდებულო საგნები	25 ECTS
აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის	5
სადისერტაციო კვლევის მომზადება	6
სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი	4
თვისებრივი კვლევის მეთოდები	6
დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი	4
დოქტორანტის სემინარები	15 კრედიტი
დოქტორანტის სემინარი I	5
დოქტორანტის სემინარი II	5
დოქტორანტის სემინარი III	5
სავალდებულო არჩევითი საგნები	5 კრედიტი
სწავლების პრაქტიკა	5
დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი	5
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულოა სოციალური მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტებისთვის)	5
სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში	5

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების აღწერა

აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის - 5 ECTS

ეს საგანი დოქტორანტს აკადემიური ნაშრომის შექმნაში ეხმარება. მასში განიხილება ანგარიშების, სტატიების, სადისერტაციო ნაშრომის წერის წესები და სამეცნიერო ნაშრომის ყველა შესაძლო ფორმატი და სტილი. აკადემიური წერისას ისწავლება ტექსტის შესავალი, ძირითადი, დასკვნითი ნაწილების შედგენის ფორმები, ასევე ტექსტის კრიტიკული ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, პლაგიატიზმის მაგალითები და სწორი ციტირების ხერხები. კურსი მორგებულია დოქტორანტის

სამუშაოზე და გარდა ზოგადი პრინციპების სწავლებისა, თითოეული დავალება/შეხვედრა გულისხმობს კონკრეტულად იმ ნაშრომზე მუშაობას, რომელზეც იმ მომენტისთვის მუშაობს დოქტორანტი.

სადისერტაციო კვლევის მომზადება - 6 ECTS

ეს საგანი ამზადებს დოქტორანტს სადისერტაციო კვლევის ჩასატარებლად. მასში განიხილება კვლევის ძირითადი პრინციპები, კვლევის ალტერნატიული ფილოსოფიები და პროცედურული მიდგომები. ეს საგანი დაეხმარება დოქტორანტს საკუთარი კვლევის დაგეგმვაში, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაში, საჭირო რესურსების მოძიებასა და სხვა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებაში. საგნის დასრულებისას დოქტორანტს ექნება დისერტაციაზე მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით შეიძლება უკეთ განახორციელოს კვლევა.

სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი - 4 ECTS

ეს საგანი დოქტორანტს აძლევს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებიც საჭიროა ნებისმიერ სახის სამეცნიერო საპროექტო განაცხადის მოსამზადებლად და განსახორციელებლად. კურსი შეეხება თანამედროვე მეცნიერების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას, მათ შორის სამეცნიერო იდეის პროექტად ჩამოყალიბების, დაფინანსების მოძიების სტრატეგიებს, პროექტის ციკლების მართვის საკითხებს.

თვისებრივი კვლევის მეთოდები - 6 ECTS

ეს საგანი ემსახურება იმ თვისებრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლას და დაუფლებას, რომლებიც გამოიყენება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა კვლევის სხვადასხვა დიზაინი, მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება და განმარტება, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ხერხები, კვლევის ეთიკა და ა.შ..

სადოქტორო სემინარები - სულ სამი, თითო 5 ECTS

ამ სემინარების დროს დოქტორანტი შეისწავლის მის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის მნიშვნელოვან ძირითად თეორიულ და კონცეპტუალურ პარადიგმებს. თითოეული სემინარი იგეგმება დოქტორანტების კონკრეტული ჯგუფის/კოჰორტას ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა ძირითადად ორიენტირებულია სოციალური თეორიის (სემინარი I), კულტურის და

პოლიტიკის კვლევის (სემინარი II) და პოლიტიკური და ეკონომიკური თეორიის (სემინარი III) იმ საკითხებზე, რომელზეც დგას თანამედროვე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.

დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი - 4 ECTS

ეს სემინარი დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს ხელმძღვანელთან ან მის მიერ არჩეულ პროფესორთან გაიაროს ინდივიდუალური სემინარების და მეცადინეობების ინტენსიური ციკლი, მის კვლევაზე მორგებული და შესაბამისად შედგენილი სამუშაო განრიგის საფუძველზე. კურსი შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტებს, კვლევის კონკრეტულ კომპონენტზე პროდუქტიულად იმუშაონ კომპეტენტური პროფესორის ინტენსიური კონსულტაციების და მეთვალყურეობის დახმარებით.

სავალდებულო არჩევით საგნები (5 კრედიტი) - შეთავაზებული 3 არჩევითი საგნიდან უნდა შეარჩიოს რომელიმე ერთი.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები - 5 ECTS (სავალდებულოა სოციალური მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტებისთვის)

ეს საგანი ორიენტირებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდების სწავლებაზე. კურსის განმავლობაში დოქტორანტები შეისწავლიან კვლევის გავრცელებულ სტატისტიკურ მეთოდებს. ამავდროულად, დაეუფლებიან სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამებს (PHstat2, SPSS, Stata, E-views). დოქტორანტები სიღრმისეულად შეისწავლიან ამოცანის დასმისა და რაოდენობრივი კვლევის განხორციელების ყოველ ეტაპს. კურსი აგრეთვე მოიცავს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისათვის საჭირო ინსტრუმენტების შესწავლას.

სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში - 5 ECTS

ეს საგანი დოქტორანტს აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საქმიანობისათვის საჭირო ცოდნას და უნარებს. კერძოდ, კურსი შეეხება უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის სისტემური მოწყობის საკითხებს - ბოლონიის პროცესს და მის მნიშვნელობას, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის თავისებურებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

სწავლების პრაქტიკა - 5 ECTS

სასწავლო ნაწილის ეს კომპონენტი დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთოს სასწავლო პროცესში (დამოუკიდებლად სწავლების და პროფესორის ასისტენტობის ფორმით) და მიიღოს სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. დოქტორანტის მიერ გაწეული სამუშაო ფასდება ყოველი კონკრეტული პრაქტიკის შემთხვევაში შესაბამისი ხელმძღვანელის/პროფესორის მიერ, რომელიც მეთვალყურეობს სწავლების პრაქტიკის პროცესს და განსაზღვრავს შეფასების კრტიერიუმებს.

დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი - 5 ECTS

ეს სემინარი დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს ხელმძღვანელთან ან მის მიერ არჩეულ პროფესორთან გაიაროს ინდივიდუალური სემინარების და მეცადინეობების ინტენსიური ციკლი, მის კვლევაზე მორგებული და შესაბამისად შედგენილი სამუშაო განრიგის საფუძველზე. კურსი შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტებს, კვლევის კონკრეტულ კომპონენტზე პროდუქტიულად იმუშაონ კომპეტენტური პროფესორის ინტენსიური კონსულტაციების და მეთვალყურეობის დახმარებით.

კვლევის კომპონენტი

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი მოიცავს ქვეკომპონენტებს, რომლებსაც დოქტორანტი ასრულებს დისერტაციის დასრულებამდე.

კომპონენტები სრულდება დისერტაციის პრერეკვიზიტის სახით და მოიცავს შემდეგს:

კვლევითი კომპონენტი
კვლევის ნაწილი I <i>(კვლევის პროექტი, კვლევის გეგმა, ბიბლიოგრაფიული მონახაზი)</i>
კვლევის ნაწილი II <i>(ბიბლიოგრაფია და მეთოდოლოგიური მონახაზი)</i>
კვლევის ნაწილი III <i>(მასალების შეგროვება, სადისერტაციო კვლევის პროექტი)</i>
კვლევის ნაწილი IV <i>(მასალების შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, I თავი)</i>

<p>კვლევის ნაწილი V <i>(სადისერტაციო ნაშრომის ტექსტზე მუშაობა, შედეგების გადამოწმება, სამეცნიერო/სასწავლო ნაშრომის/სტატიის მომზადება და გამოქვეყნება)</i></p>
<p>კვლევის ნაწილი VI <i>(სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ვერსია, საჯარო დაცვა)</i></p>

კვლევის ნაწილი I - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი ასრულებს შემდეგ სამუშაოს: ა. კომისიის წინაშე წარადგენს კვლევის გეგმას (ზეპირი პრეზენტაციის სახით) და ბ. პროსპექტუსს (დაწერილი ნაშრომის სახით). კომპონენტი ჩათვლილად ითვლება თუ დოქტორანტის ნამუშევარს დადებითი შეფასება აქვს, როგორც კომისიისგან ისე მისი ხელმძღვანელისგან.

კვლევის ნაწილი II - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი ხელმძღვანელს აბარებს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს და მეთოდოლოგიურ მონახაზს (წერილობითი ნაშრომის სახით).

კვლევის ნაწილი III - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი კომისიას და ხელმძღვანელს წარუდგენს ა. საკვლევ მასალაზე/ველზე მიმოხილვას (პრეზენტაციის სახით); ბ. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას (წერილობით და ზეპირი პრეზენტაციით).

კვლევის ნაწილი IV - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი კომისიას და ხელმძღვანელს წარუდგენს: ა. ანგარიშს მიმდინარე სამუშაოზე (ზეპირი პრეზენტაციით); ბ. ნაშრომის პირველ/ერთ თავს (წერილობით).

კვლევის ნაწილი V - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტი კომისიას და ხელმძღვანელს წარუდგენს: ა. ანგარიშს მიმდინარე სამუშაოზე (ზეპირი პრეზენტაცია); ბ. სადისერტაციო ნაშრომის საფუძველზე მომზადებულ სამეცნიერო სტატიას; გ. დისერტაციის პირველ ვერსიას ან ნაშრომის ნაწილს.

კვლევის ნაწილი VI - ამ კომპონენტის შესრულებისთვის დოქტორანტმა უნდა დაიცვას დისერტაცია სადოქტორო სკოლის და სადისერტციო საბჭოს დებულების მიხედვით გაწერილი წესით.

დისერტაცია

სადოქტორო დისერტაციაში დოქტორანტს მოეთხოვება არჩეულ სფეროში დამატებითი ცოდნის შემქმნელი ორიგინალური კვლევის ჩატარება. დისერტაცია არის ფორმალური აკადემიური ნაშრომი და ასახავს დოქტორანტის მიერ შესწავლილი საკითხის საფუძვლიან გაგებას. დოქტორანტმა უნდა ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზა. გაარკვიოს, როგორ განსხვავდება მისი კვლევის პროექტი აქამდე ჩატარებული კვლევებისგან და რა პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს დოქტორანტი კვლევის შედეგებს.

რესურსები

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. დოქტორანტისათვის ხელმისაწვდომია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში არსებული კვლევის განხორციელებისათვის აუცილებელი ყველა რესურსი: ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები, კვლევითი ცენტრები.